ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #2

2021 წელი 21 დეკემბერი 11 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, გ.ტყემალაძე,
ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
გ.შარაშიძე, ა.რატიშვილი,
ა.გოგოლაძე, ბ.ჯიმელი სულაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო მაღრაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის #71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#12-032135419-03)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-03213504-03)
3. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის უფლებამონაცვლის საკითხის განსაზღვრა.

1. მოისმინეს:

ქ. თბილისის საკრებულოს კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის #71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტზე ისაუბრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მან აღნიშნა, რომ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 3476,9 ათასი ლარით, ხოლო მცირდება ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები - 3253,9 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 220,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს.

ასევე, გათვალისწინებულია ასიგნებების გადანაწილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონული გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 201 097,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 128 769,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან : გადასახადები 718 169,6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 168 180,7 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 28 401,4 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 17 008,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 504 579,5 ათასი ლარი. გრანტები 210 932,6 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 472,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 35 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 199 667,4 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 11 500,0 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები – 43 867,4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 270 531,8 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია 1 005 454,9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 250 198,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 14 878,2 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 123 314,6 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 178 013,8 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 250 198,7 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 72 184,9 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (69 577,4) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (14 878,2) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 14 878,2 ათასი ლარი.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 699,2) ათასი ლარით.

საკითხის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სასმული იქნა შეკითხვები: რატომ მცირდება გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რა ნაშთი რჩება 2021 წლის ბიუჯეტში და რა თანხა გადადის 2022 წლის ბიუჯეტში და ა.შ. გაიოზ თალაკვაძემ ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს აღნიშნულ საკითხს.

თავი შეიკავა: ა.გოგოლაძე, ბ.ჯიმელი სულაშვილი.

2. მოისმინეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტზე ისაუბრა ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ნინო მაღრაძემ. მან აღნიშნა, რომ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად) განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა, ვინაიდან ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ტრანსპორტისა და სპორტის სხვადასხვა სახეობებში, არის დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულების მქონე, რის გამოც მათ უგროვდებათ დიდი საგადასახადო ვალდებულებები ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი და ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის, ან/და ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეობების მიხედვით ამავე კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში. აქედან გამომდინარე:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილების:

1. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს, ხოლო საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, მათ ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მათ მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს 2023 წლის 1 იანვრამდე.“

2. დადგენილების 7^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^2პუნქტი:

„7^2. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობისათვის სპორტის დარგში, (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექცია R, განყოფილება 93, ჯგუფი 93.1-ის კლასი 93.11, 93.12 და 93.13) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), მიწისზედა ელექტროტრანსპორტითა და საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (0,001%) გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზეც.

ქ.თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნულ საკითხს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

თავი შეიკავა: ა.გოგოლაძე, ბ.ჯიმელი სულაშვილი.

3. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნა ნინო რუხაძის კანდიდატურა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზემოაღნიშნულ კანდიდატს.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე